

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა



ფინანსური მართვის ჯგუფი
 დოლიძის ქ. № 2
 0177 თბილისი, საქართველო
 ტელ.: (995) (322) 36 33 11
 ფაქსი: (995) (322) 36 33 11
 ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
 2 str. Dolidze
 0177 Tbilisi, Georgia
 Tel.: (995) (322) 36 33 11
 Fax: (995) (322) 36 33 11
 E-mail: info@fmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2016 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული ფინანსური საქმიანობის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მნიშვნელოვან გარემოებათა აზრები

მიმდინარე საანგარიშო პერიოდის ფინანსური საქმიანობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია არ არის შესადარისი გასულ პერიოდთან, ვინაიდან მოცემულია მონაცემები მხოლოდ ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებულ შემოსავლებისა და შესაბამისი ხარჯების შესახებ, ხოლო მიმდინარე წლის ანგარიშგება მოიცავს, როგორც ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს, ასევე საწევრო დაფინანსებას და გრანტის სახით მიღებულ შემოსავლებსა და მათ შესაბამის ხარჯებსაც.

სხვა გარემოებათა აზრები

საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციამ შეცვალა მიდგომა ფინანსური ანგარიშგების მომზადების ფორმატთან მიმართებაში. კერძოდ, გასულ პერიოდებში აღნიშნულ ანგარიშში მოცემული იყო მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლები და ხარჯები, ხოლო მიმდინარე საანგარიშგებო წლიდან ანგარიშში მოიცავს საწევრო გადასახადებისა და გრანტების შედეგად მიღებულ შემოსავლებს და შესაბამის ხარჯებსაც.



ფინანსური მართვის ჯგუფი
 დოლიძის ქ. № 2
 0177 თბილისი, საქართველო
 ტელ.: (995) (322) 36 33 11
 ფაქსი: (995) (322) 36 33 11
 ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
 2 str. Dolidze
 0177 Tbilisi, Georgia
 Tel.: (995) (322) 36 33 11
 Fax: (995) (322) 36 33 11
 E-mail: info@fmg.ge

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

რუსუდან ჩაგელიშვილი

12 სექტემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2015	31.12.2016	31.12.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივი				
ძირითადი საშუალებები	4	1 150 823	1 368 228	1 384 812
არამატერიალური აქტივები	5		12 365	25 901
სულ გრძელვადიან აქტივები		1 150 823	1 380 593	1 410 713
მიმდინარე აქტივები				
გადახდილი გადასახადები	6	-	-	10 848
გადახდილი ავანსები	7	667	10 801	-
ფული და ფულის ექვივალენტები	8	78 808	153 248	108 150
სულ მიმდინარე აქტივები		79 475	164 049	118 998
სულ აქტივები		1 230 298	1 544 642	1 529 711
საქმიანობიდან მიღებული შედეგები				
ფონდები და დაფინანსება		1 022 355	1 433 259	1 527 319
სულ საქმიანობიდან მიღებული დადებითი შედეგები		1 022 355	1 433 259	1 527 319
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები	9	912	2 966	2 392
საგადასახადო ვალდებულება	10	21 567	18 035	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		22 479	21 001	2 392
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	185 464	90 382	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		185 464	90 382	-
სულ ვალდებულებები		207 943	111 383	2 392
სულ ვალდებულებები და საქმიანობიდან მიღებული შედეგები		1 230 298	1 544 642	1 529 711

მთავარი ბუღალტერი

12 სექტემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
 ფინანსური საქმიანობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2016	12 თვე, 2017
შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან	12	358 620	382 634
შემოსავალი საწევრო შენატანებიდან	12		522 374
შემოსავალი გრანტებიდან	12		443 609
მთლიანი შემოსავალი		358 620	1 348 618
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(41 215)	(470 006)
ხელფასის ხარჯი	13	(111 019)	(697 575)
ცვეთის ხარჯი	13	(87 181)	(112 769)
საპროცენტო ხარჯი	13	(20 742)	(4 213)
ფინანსური შედეგები ძირითადი საქმიანობიდან		98 464	64 054
არასაოპერაციო შემოსავლები	14		66 367
არასაოპერაციო ხარჯები	14		(1 226)
ფინანსური შედეგი დაბეგრამდე			
მოგების გადასახადი		(19 963)	(35 296)
წმინდა შედეგები საქმიანობიდან		78 501	196 741

მთავარი ბუღალტერი

12 სექტემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2016	2017
ნაშთი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	78 809	153 248
ნაშთი საანგარიშო პერიოდის დასასრულს	153 248	108 150
სულ ფულადი შემოსავლები	1 430 821	1 420 818
შემოსავალი საწევრო გადასახადებისგან	604 855	524 464
შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან	413 756	452 225
შემოსავალი გრანტებიდან	130 210	444 129
დაფინანსება პრეზიდენტის ფონდიდან	282 000	
ფულადი გასავალი საოპერაციო საქმიანობიდან	960 534	1 294 815
ხელფასები	335 400	558 059
ხელფასები გრანტის	132 195	276 770
გადასახადები	193 225	10 564
მედია გეგმის ბიუჯეტი	10 209	
სასწავლო ცენტრის იურიდიული განათლების ხარჯი	72 019	25 820
მიმდინარე რემონტი	2 372	2 442
ბიბლიოთეკის ხარჯი	2 485	
გრანტის ხარჯები		219 589
ჟურნალი	9 925	7 800
კომიტეტები	2 474	11 892
საერთაშორისო ორგანიზაციებში გადასარიცხი თანხები	6 152	6 691
ფონდი	17 225	35 675
სარევიზიო კომისია	7 226	5 120
რეგიონალური განვითარების ხარჯი	6 394	5 570
კომუნალური	23 865	26 139
კომუნიკაცია	25 009	24 869
პრემია	3 625	3 750
საწვავი	2 984	1 998
საკანცელარიო	6 369	8 391
კრება	4 092	31 154
ლანჩ მენიუ და სასტუმროს ხარჯი	30 130	
სხვა და სხვა	49 762	26 897
კონფერენცია	5 917	
ვიდეო ტრენინგი	7 480	
მივლინება	4 000	5 625
ფულადი გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან	280 034	76 506
ოფისის რემონტი	264 294	71 967
ავეჯი ოფისისთვის	15 740	4 539
ფულადი გასავალი საფინანსო საქმიანობიდან	115 814	94 595
ძირითადი თანხა	95 072	90 382
გადახდილი პროცენტები	20 742	4 213
სულ	1 356 382	1 465 916
წმინდა ფულადი ნაკადის ზრდა/კლება	74 439	(45 098)

მთავარი ბუღალტერი

12 სექტემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შედეგი ეკონომიკური საქმიანობიდან	დაფინანსება	გრანტები	სულ შედეგი საქმიანობიდან
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის	1011331		10923	1022254
შედეგი საქმიანობიდან	78501	31345	301159	411 005
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	1089832	31345	312082	1433259
შედეგი საქმიანობიდან	169327	(82126)	6859	94060
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	1259159	(50781)	318941	1527319

მთავარი ბუღალტერი

12 სექტემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“ (შემდგომში ”ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2005 წლის 18 მარტს, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის იუსტიციის სამინისტრო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ჩუღურეთის რ-ნი, ხეთაგუროვის ქ. N15. ორგანიზაციის მმართველობის ორგანო არის აღმასრულებელი საბჭო.

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, საქართველოში მოქმედ ადვოკატთა პროფესიული უფლებების დაცვა, მათი პროფესიული გადამზადება, ახალი წევრების მიღება(საკვალიფიკაციო ტესტების საფუძველზე).

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ზასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადდა ორგანიზაციის ფასს-ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით. ინფორმაციის მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა არ გაითვალისწინა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც ამოქმედებული იქნება ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების შემდეგ.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

ორგანიზაცია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები1;
- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (და შესაბამისი განმარტებები)1;
- ფასს 16 - იჯარა2;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები3;
- ფაისკ 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება1;
- ფაისკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება2;

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

- შესწორებები ფასს 2 - იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით1;
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 – აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში4;
- შესწორებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონების გადაცემა1;
- შესწორებები ფასს 4 - `ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები` გამოყენება ფასს 4 “სადაზღვევო კონტრაქტებთან” ერთად1;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით2;
- ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები2;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი1;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი2.

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების გამოყენება მომავალში არსებით ზეგავლენას არ მოახდენს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ორგანიზაციის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6468	2.5922
ლარი/1 ევრო	2.6169	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებსა და სალაროში არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მიმდინარე მოთხოვნები

ორგანიზაციას მოთხოვნები თითქმის არ გააჩნია. წლის განმავლობაში მოთხოვნები შედგება მხოლოდ ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნებისგან, რომელიც საანგარიშგებო პერიოდშივე არის განულებული. საწევროებისა და გრანტების აღიარებას ორგანიზაცია ახდენს საკასო მეთოდით, შესაბამისად მათზე მოთხოვნები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ფიქსირდება.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა ანგარიშგების პერიოდისათვის.

ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტიურ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არ ანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით ცვეთისა გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	20%
ავეჯი	20%
დანარჩენი ძირითადი საშუალებები	15%
შენობა ნაგებობები	5%

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების გაუმჯობესების ცვეთა ითვლება მათთან დაკავშირებული იჯარით აღებული აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდზე. რემონტისა და გაუმჯობესების ხარჯები აისახება გაწევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ორგანიზაციის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საქმიანობიდან მიღებული შედეგები

ორგანიზაციის კაპიტალი შედგება ეკონომიკური საქმიანობის და მიღებული საწევროების შედეგად მიღებული და დაგროვებული გაუნაწილებელი მოგებისგან. ასევე მისი საქმიანობის შედეგად დაგროვებული თანხისგან.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ორგანიზაციას ძირითადად გააჩნია სამი ტიპის შემოსავალი: შემოსავლების საწევრო შენატანებიდან, შემოსავლები მიღებული გრანტებიდან და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან.

შემოსავალი საწევრო შენატანებიდან

ორგანიზაციის ძირითადი შემოსავლის წყარო არის საწევროებიდან მიღებული თანხები. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებული ადვოკატები ყოველწლიურად იხდიან საწევროს 200 ლარის ოდენობით. საანგარიშგებო თარიღისათვის ასოციაციაში გაწევრიანებული იყო დაახლოებით 3900 ადვოკატი და მათი საწევრო გადასახადი წლიურად შეღავათების და არაგადამხდელი წევრების გათვალისწინებით დაახლოებით შეადგენს 500 000 ლარს. საწევრო გადასახადების აღიარებას ორგანიზაცია ახორციელებს საკასო მეთოდის მიხედვით. წლის

განმავლობაში მისი საწევრო შემოსავლები შედგება ძველი წევრების მიერ შეტანილი თანხებისგან, ასევე მიმდინარე წელს ახლად გაწევრიანებულთა საწევრო გადასახადებისგან. გადაუხდელობის შემთხვევაში ხდება წევრთათვის სტატუსის შეჩერება ან ასოციაციიდან გარიცხვა. აღნიშნული პროცედურები უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა და დღეისათვის მენეჯმენტი ზრუნავს დავალიანებების ამოღების საკითხზე.

შემოსავალი საგრანტო ხელშეკრულებებიდან

საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციას ასევე მიღებული აქვს დაფინანსება საგრანტო ხელშეკრულებებით. აღნიშნული შემოსავლები აღიარებულია საგრანტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფაქტიურად მიღებული და გახარჯული თანხების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ გრანტების ნაწილი მოიცავს ერთზე მეტ საანგარიშგებო პერიოდს, ორგანიზაცია არ აღიარებს გადავადებულ შემოსავალს გრანტის ხელშეკრულების თანახმად მისაღები თანხების და აუთვისებელი და გასაწევი ხარჯების ოდენობით.

შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან

ორგანიზაციას ასევე აქვს ეკონომიკური შემოსავლები. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია შემოსავლებს იღებს საადვოკატო გამოცდებიდან, რომელში მონაწილეობაც ფასიანია, ასევე სხვადასხვა ადვოკატთა გადასამზადებელი კურსებიდან. საშუალოდ ასეთი შემოსავლების მოცულობა წლის განმავლობაში შეადგენს 200 000 ლარს. აღნიშნული შემოსავლების შემთხვევაში დარიცხული და მიღებული თანხების მოცულობა ერთმანეთს ემთხვევა, რადგან ტესტირებაში მონაწილეობა, მოწმობის განახლება და გადამზადების კურსებში მონაწილეობა ხდება რეგისტრაციისას თანხის გადახდის საფუძველზე.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ადვოკატთა ტესტირებასა და კვალიფიცირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციის დანახარჯები მოიცავს ასევე საგრანტო ვალდებულების შესაბამისად გაწეულ ხარჯებს, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია შესაბამისად.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 4 - ძირითადი
 საშუალებები

	შენიშვნები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი
საწყისი ღირებულება	1 271 067	34 672	61 737	34 855
დანამატები	264 294	2 849	16 508	19 810
აქტივების ჩამოწერა				
ცვეთა პერიოდისათვის ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	(65 756)	(4 050)	(8 856)	(7 395)
აკუმულირებული ცვეთა	(166 847)	(23 783)	(43 118)	(17 759)
ბალანსი 31/12/2016	1 302 759	9 688	26 271	29 511
დანამატები	71 968	45 741	3 640	3 553
აქტივების ჩამოწერა				
ცვეთა პერიოდისათვის ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	(77 783)	(11 461)	(9 510)	(9 565)
აკუმულირებული ცვეთა	(232 603)	(27 833)	(51 974)	(25 154)
ბალანსი 31/12/2017	1 296 943	43 968	20 401	23 500
ბალანსი 31/12/2016	1 302 759	9 688	26 271	29 511
ბალანსი 31/12/2017	1 296 943	43 968	20 401	23 500

შენიშვნა 5 - არამატერიალური აქტივები

საწყისი ღირებულება	-
დანამატი	13 489
ცვეთა პერიოდისათვის	(1 124)
აკუმულირებული ცვეთა	-
ბალანსი 31/12/2016	12 365
დანამატი	17 986
ცვეთა პერიოდისათვის	(4 450)
აკუმულირებული ცვეთა	(1 124)
ბალანსი 31/12/2017	25 901
წმინდა ღირებულება	-
ბალანსი 31/12/2016	12 365
ბალანსი 31/12/2017	25 901

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 6 - გადახდილი გადასახადები

	31.12.2016	31.12.2017
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	10 848
სულ გადახდილი გადასახადები	-	10 848

შენიშვნა 7 - გადახდილი ავანსები

	31.12.2016	31.12.2017
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	10 801	-
სულ გადახდილი ავანსები	10 801	-

შენიშვნა 8 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2016	31.12.2017
ნაღდი ფული სალაროში	193	235
ლარი საბანკო ანგარიშებზე	153 029	107 884
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	27	31
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	153 248	108 150

შენიშვნა 9 - მიმდინარე ვალდებულებები

	31.12.2016	31.12.2017
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2 966	2 232
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2 966	2 232

შენიშვნა 10 - გადასახდელი გადასახადები

	31.12.2016	31.12.2017
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	18 035	-
სულ გადასახდელი გადასახადები	18 035	-

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 11 -სესხები

	<u>31.12.2016</u>	<u>31.12.2017</u>
გრძელვადიანი სესხი	90 382	-
სულ გრძელვადიანი სესხები	90 382	-

შენიშვნა 12 -შემოსავალი მომსახურებიდან

	<u>31.12.2016</u>	<u>31.12.2017</u>
შემოსავალი მომსახურებიდან	358 620	382 634
შემოსავალი საწევროებიდან		522 374
შემოსავალი გრანტებიდან		443 609
წმინდა შემოსავალი	358 620	1 348 618

შენიშვნა 13 - ხარჯები

	<u>31.12.2016</u>	<u>31.12.2017</u>
შრომის ანაზღაურება	(111 019)	(697 575)
გამოცდების ტესტების და სერტიფიკატების ხარჯი	(18 704)	(19 822)
ცვეთა და ამორტიზაცია	(87 181)	(112 769)
საკანცელარიო ხარჯი (გამოცდები)	(202)	
საიჯარო ქირა	(12 600)	(13 200)
სხვა საერთო ხარჯი	(3 914)	(3 793)
საგადასახადო ხარჯები	(3 056)	(3 614)
საპროცენტო ხარჯები	(20 742)	(4 213)
საბანკო ხარჯები	(1 317)	(1 229)
გრანტებთან და საწევროებთან დაკავშირებული ხარჯები	(1 422)	(428 348)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(260 157)	(1 284 563)

შენიშვნა 14 - არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

	31.12.2016	31.12.2017
არასაოპერაციო შემოსავლები		66 367
არასაოპერაციო ხარჯები		(1 226)
სულ არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	-	65 141

ადვოკატთა ასოციაცია მომდევნო წლის ბიუჯეტირებას ახდენს მიმდინარე წლის ბოლოს, რომელიც მტკიცდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ. აღნიშნული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მისი საქმიანობიდან გამომდინარე განიცდის კორექტირებას კალენდარული წლის განმავლობაში. ქვემოთ მოყვანილია ცხრილი სადაც აღვწერთ ზემოთ მოხსენიებულ ცვლილებებს და ფაქტიურად გაწეული ხარჯის მიმართებას წლიურ ბიუჯეტთან.

დასახელება	დაგეგმილი	რეალური	%
ხელფასი	367 187.50	365 329.00	99.49%
მედია-გეგმის ბიუჯეტი	12 900.00	10 564.00	81.89%
სამივლინებო ხარჯი	5 000.00	5 625.00	112.50%
სასწავლო ცენტრის იურიდიული განათლების ხარჯი	70 000.00	25 820.00	36.89%
სარემონტო ხარჯები	10 000.00	2 442.00	24.42%
ბიბლიოთეკის წიგნების ფონდის შევსების ხარჯი	1 000.00		0.00%
ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისია	1 000.00		0.00%
კომიტეტები	3 000.00	11 892.00	396.40%
საერთაშორისო ორგანიზაციებში გადასარიცხი თანხები	6 000.00	6 691.00	111.52%
ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის ხარჯი	38 600.00	35 675.00	92.42%
სარეზერვო კომისია	5 000.00	5 120.00	102.40%
რეგიონალური განვითარების ხარჯი	10 000.00	5 569.00	55.69%
სესხის მომსახურების ხარჯი	96 400.00	94 595.00	98.13%
ჟურნალის ხარჯი	7 200.00	7 800.00	108.33%
სხვადასხვა	174 750.00	199 704.00	114.28%
ჯამი	808037.50	776826.00	96.14%

როგორც ცხრილიდან ჩანს გადახარჯვა არის ძირითადად კომიტეტის ხარჯებში რაც გამოწვეული იყო საზღვარგარეთის დელეგაციების გაუთვალისწინებელი ვიზიტებით. ვალუტის კურსის სხვაობის გამო მცირე სხვაობებია აგრეთვე მივლინების და საერთაშორისო ორგანიზაციებში გადასარიცხ საწევრო თანხებში.

თანხის ათვისების კუთხით არაა ათვისებული სასწავლო ცენტრის იურიდიული განათლების ხარჯი, რაც გამოწვეული იყო დონორების მიერ სასწავლო ცენტრის დაფინანსებით. დაზოგვა მოხდა აგრეთვე სარემონტო ხარჯებში.

წარმოგიდგენთ სხვადასხვა ხარჯის გაშიფვრებს:

დასახელება	დაგეგმილი	რეალური	%
კომუნალური	20 000.00	26 139.00	130.70%
კომუნიკაციის	20 000.00	24 869.00	124.35%
პრემია	5 000.00	3 750.00	75.00%
საწვავი	2 500.00	1 997.00	79.88%
საკანცელარიო	11 000.00	8 391.00	76.28%
ყოველწლიური კრების ჩატარება	25 000.00	31 154.00	124.62%
სხვა	91 250.00	103 404.00	113.32%
ჯამი	174 750.00	199 704.00	114.28%

ცხრილიდან ჩანს რომ გადახარჯვა არის კომუნიკაციის ხარჯებში, აგრეთვე სხვა და სხვა ხარჯში, აუთვისებელია საკანცელარიო ხარჯი და საწვავის ხარჯი, გადახარჯვაა აგრეთვე კომუნალურ ხარჯებში და ყოველწლიური კრების ჩატარების ხარჯებში აღნიშნული გამოწვეული იყო ადვოკატთა ასოციაციის თავჯდომარის არჩევნების მეორე ტურის ჩატარების გამო. სხვა ხარჯები გაზრდილია საბჭოს გადაწყვეტილებით რაც გამოწვეულია რეგიონული ოფისების რემონტით 65 000 ლარით.

აღნიშნული ბიუჯეტი მოიცავს მხოლოდ საწევრო შენატანებიდან მისაღები შემოსავლების და შესაბამისი ხარჯების დაგეგმვას. მასში არ არის გათვალისწინებული შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან და გრანტებთან დაკავშირებული შემოსავლები და ხარჯები.

შენიშვნა 15 - საგრანტო შემოსავლები და ხარჯები

	31.12.2017	
	დაფინანსება	ხარჯვა
გერმანიის საერთაშორის თანამშრომლობის ორგანიზაცია	60 390	(60 390)
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია	118 139	(114 017)
UNDP	38 972	(38 917)
UNICEF	37 370	(32 618)
პროლოგი	188 738	(189 634)
პრეზიდენტის ფონდი	-	(1 174)
სულ მიღებული გრანტები და მათი ხარჯები	443 609	(436 751)

16. რისკის მართვა

ორგანიზაციის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

ა) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია არ ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას ან სხვა სახის ვალდებულებების უცხოურ ვალუტაში. 2017 წელს ორგანიზაციის სავალუტო ანგარიშებზე იყო მცირე ბრუნვა და შესაბამისად წარმოიქმნა მცირე სხვაობა კურსის ცვლილებიდან გამომდინარე.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. ორგანიზაციის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. აღნიშნული რისკი ორგანიზაციაში მინიმალურია, რადგან მას არ გააჩნია დებიტორები და შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საწევრო შენატანები. წევრების მხრიდანაც ხდება საწევრო შენატანების დაგვიანება/ არ გადახდა, თუმცა აღნიშნული რისკი ორგანიზაციაში მინიმალურია. ეკონომიკური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნებიდან და საკრედიტო რისკი არ არსებობს, რადგან ამ შემოსავლების მიღება დებიტორებისგან ხდება წინასწარ.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ორგანიზაციის ლიკვიდურობის რისკები არ არის მაღალი ვინაიდან არ არის იდენტიფიცირებული არსებითი სახის ვალდებულებები რომლის დაფარვასაც ორგანიზაცია ვერ შეძლებს თავისი საოპერაციო საქმიანობის

პირობებში. რაც შეეხება სასესხო ვალდებულებებს საანგარიშგებო პერიოდში განულებულია და მისი დაფარვის რისკიც არ არსებობს.

17 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ ორგანიზაციას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში არ არის იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები.

18 - სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ორგანიზაციის მიმართ არ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. მენეჯმენტი ასევე არ ფლობს ინფორმაციას პოტენციური სასამართლო პროცესების და სხვა სახის მარეგულირებელი შემოწმების რისკების წარმოქმნის შესახებ.

19 - საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ორგანიზაცია დაფუძნებულია საქართველოს „ადვოკატთა შესახებ კანონის“ საფუძველზე. მის მიმღებ ორგანოს წარმოადგენს პარლამენტი და ამტკიცებს პრეზიდენტი. შესაბამისად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის განხილვის საკითხი სცდება მენეჯმენტის კომპეტენციის ფარგლებს. დღეისათვის რაიმე წინაპირობა იმისა, რომ აღნიშნული კანონი შეწყვეტს მოქმედებას ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ფუნქციონირების მხრივ შევა რაიმე ცვლილება, არ არსებობს.

20 - ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.